სამაგისტრო პროგრამებზე მისაღები ინგლისური ენის გამოცდის მოკლე აღწერა და შეფასების კრიტერიუმები

საბუნებისმეტყველო მეცნიერებებისა და მედიცინის ფაკულტეტის სამაგისტრო პროგრამებზე ჩაბარების მსურველი უნდა ფლობდეს ინგლისურ ენას B2 დონეზე საერთაშორისო სარეფერენციო ჩარჩოს (Common European Framework for Languages – CEFR)[1] მიხედვით. პროგრამის სპეციფიკიდან გამომდინარე, კანდიდატმა გამოცდაზე უნდა აჩვენოს აღნიშნული დონის შესაბამისი უნარი წაკითხულის გააზრებისა და წერის მიხედვით. ამ ორი უნარის შესამოწმებლად აღებულია ინგლისური ენის საერთაშორისო ტესტის – International English Language Testing System (IELTS) აკადემიური მოდულის ორი ნაწილი: Reading Paper და Writing Paper. შესაბამისად, **გამოცდა შედგება ორი ნაწილისგან: კითხვა და წერა. გამოცდის ხანგრძლივობა 1 საათი და 40 წუთია.**

ქვემოთ მოცემულია თითოეული ნაწილის აღწერა და შეფასების წესის განმარტება.

კითხვა (Reading Paper)

ამოწმებს სხვადასხვა შინაარსის ტექსტში მოცემული ინფორმაციის გაგების უნარს.

ტესტი შედგება ზოგადსაგანმანათლებლო თემატიკის სამი ტექსტისგან. **განსაზღვრულია 60 წუთი იმისთვის,** რომ ტექსტებში მოცემული ინფორმაციის მიხედვით პასუხი გასცეთ **40 შეკითხვას**. პასუხები უნდა გადაიტანოთ პასუხებისთვის განკუთვნილ სპეციალურ ფურცელზე - Answer Sheet. **პასუხების გადასატანად დამატებითი დრო არ გეძლევათ**.

წაკითხულის გააზრების უნარის შესამოწმებლად ტესტი 11 ტიპის კითხვას გთავაზობთ:

1. სწორი ინფორმაციის მოძიება ტექსტში და პასუხის ამორჩევა მოცემული ვარიანტებიდან (Multiple choice);
2. ინფორმაციის იდენტიფიკაცია (Identifying information: True/False/Not Given);
3. ავტორის აზრის ან პოზიციის/განაცხადის იდენტიფიკაცია (Identifying author's views/claims: Yes/No/Not given);
4. კონკრეტული ინფორმაციის მოძიება აბზაცებში (Matching information);
5. აბზაცის ან ტექსტის ნაწილისთვის სათაურის შერჩევა (Matching headings);
6. ტექსტის მიხედვით გარკვეული სახის ინფორმაციისთვის შესაბამისი მახასიათებლის შერჩევა (Matching features);
7. წინადადების დასრულება მოცემული ვარიანტებიდან ამორჩევით (Matching sentence endings);
8. წინადადების დასრულება მასში გამოტოვებული ადგილების ტექსტიდან აღებული სიტყვებით ან სიტყვათშეთანხმებით შევსებით (Sentence Completion);
9. შეჯამების/შენიშვნის/ცხრილის შევსება ტექსტიდან აღებული ინფორმაციით (Summary/Note/table Completion);
10. დიაგრამის შევსება (Labelling diagram);

[1] https://www.cambridgeenglish.org/exams-and-tests/cefr/

11. კითხვებზე მოკლე პასუხი (Short-answer questions).

ყოველი კითხვა ფასდება 2.5 ქულით. მაქსიმალური შეფასება – 100 ქულა

წერა (Writing Paper) ამოწმებს აკადემიური წერის უნარს

მოცემულ თემაზე უნდა დაწეროთ **სულ მცირე 250-სიტყვიანი ესეი**. ამ დავალების შესასრულებლად **გაქვთ 40 წუთი.** პასუხი იწერება პასუხებისთვის განკუთვნილ სპეციალურ ფურცელზე, რომელიც გასწორდება**.** ტესტის ფურცელზე დაწერილი პასუხი არ გასწორდება. ასევე არ გასწორდება შენიშვნების ფორმით შესრულებული ნაწერი.

კანდიდატი ფასდება იმის მიხედვით, როგორ შეუძლია:

- თანმიმდევრულად ჩამოაყალიბოს პრობლემის გადაჭრის გზები;
- ლოგიკურად დაასაბუთოს თავისი აზრი;
- შეადაროს და გამიჯნოს მტკიცებულება, აზრები და შედეგები;
- შეაფასოს და იმსჯელოს იდეებზე, მტკიცებულებაზე ან არგუმენტებზე.

წერითი დავალება ფასდება 0 – 25 ქულით შემდეგი კრიტერიუმების მიხედვით:

- **<u>შესაბამისობა დავალებასთან</u> (0 – 25 ქულა)**

კანდიდატს მოეთხოვება მოცემულ საკითხთან დაკავშირებით ჩამოაყალიბოს და განავითაროს საკუთარი პოზიცია. ავტორის აზრები გამყარებული უნდა იყოს მტკიცებულებითა და მაგალითებით (შეიძლება კანდიდატის პირადი გამოცდილებიდან). პასუხი უნდა იყოს სულ მცირე 250-სიტყვიანი ტექსტი. ნაწერის შეფასებაზე უარყოფითად იმოქმედებს, თუ მასში მოთხოვნილ სიტყვათა რაოდენობაზე ნაკლებია.

- **<u>ნაწერის თანმიმდევრულობა/ბმულობა</u> (0 – 25 ქულა)**

ეს კრიტერიუმი აფასებს იმას, თუ ინფორმაცია რამდენად გასაგებად და გაბმულადაა გადმოცემული: როგორ არის ნაწერში არგუმენტები, იდეები და მოსაზრებები ორგანიზებული და ერთმანეთთან ლოგიკურად დაკავშირებული. ამ კრიტერიუმს ორი ასპექტი აქვს: ერთი არის თანმიმდევრულობა (coherence), რაც ტექსტში გადმოცემული აზრების სისტემური/ლოგიკური კავშირია და განაპირობებს ტექსტის ერთ მთლიანობად აღქმას; ხოლო მეორე – ბმულობა (cohesion), რომელიც უზრუნველყოფს მრავალფეროვანი ენობრივი მაკავშირებელ საშუალებათა (მაგალითად, ლოგიკური მაკავშირებლები, ნაცვალსახელები, კავშირები) სწორ გამოყენებას. ორივე კომპონენტი უნდა ეხმარებოდეს მკითხველს წინადადებებსა და აბზაცებს შორის კონცეპტუალური და შესაბამისობაში მყოფი კავშირების კარგად გაგებაში. ტექსტი აბზაცებად უნდა იყოს დაყოფილი აკადემიური სტილის მოთხოვნების გათვალისწინებით.

- **<u>ლექსიკური მარაგი</u> (0 – 25 ქულა)**

ეს კრიტერიუმი აფასებს, კანდიდატმა რამდენად სწორად, ბუნებრივად შეარჩია და გამოიყენა თემასთან დაკავშირებული დარგობრივი და ზოგადი აკადემიური მრავალფეროვანი ლექსიკა, სიტყვათშეთანხმებები; დაიცვა სიტყვათწარმოებისა და მართლწერის წესები.

- **<u>გრამატიკული მრავალფეროვნება და სიზუსტე</u> (0 – 25 ქულა)**

ეს კრიტერიუმი აფასებს, რამდენად სწორად გამოიყენა კანდიდატმა ინგლისურ ენაში არსებული მრავალფეროვანი გრამატიკული რესურსი (მაგალითად დროები, წინადადებების ტიპები, პუნქტუაცია) წინადადების დონეზე.

აღნიშნული ოთხი კრიტერიუმების მიხედვით მიღებული შეფასება ჯამდება.

ინგლისური ენის საბოლოო შეფასება განისაზღვრება ორ კომპონენტში მიღებული ქულების საშუალო არითმეტიკულით. გამსვლელი ზღვარი შეადგენს <u>51 ქულას</u>.

გამოცდისთვის დამოუკიდებლად მომზადება და ტესტის ნიმუშების ნახვა შეგიძლიათ ქვემოთ მოცემულ ელექტრონულ მისამართებზე:

https://www.cambridgeenglish.org/exams-and-tests/ielts/test-format/
http://www.examenglish.com/IELTS/index.php
http://www.esolcourses.com/revision/ielts.html

გისურვებთ წარმატებას!

Score/ქულა	Task Achievement/შესაბამისობა დავალებასთან	Cohesion and Coherence/თანმიმდევრულობა და ბმულობა	Lexical Resource/ლექსიკური მარაგი	Grammatical Range and Accuracy/გრამატიკული მრავალფეროვნება და სიზუსტე
25-23	• fully addresses all parts of the task • presents a fully developed position in answer to the question with relevant, fully extended, and well-supported ideas	• uses cohesion in such a way that it attracts no attention • skilfully manages paragraphing	• uses a wide range of vocabulary with very natural and sophisticated control of lexical features; rare minor errors occur only as 'slips'	• uses a wide range of structures with full flexibility and accuracy; rare minor errors occur only as 'slips'
22-20	▪ sufficiently addresses all parts of the task ▪ presents a well-developed response to the question with relevant, extended, and supported ideas	▪ sequences information and ideas logically ▪ manages all aspects of cohesion well ▪ uses paragraphing sufficiently and appropriately	▪ uses a wide range of vocabulary fluently and flexibly to convey precise meanings ▪ skilfully uses uncommon lexical items but there may be occasional inaccuracies in word choice and collocation ▪ produces rare errors in spelling and/or word formation	▪ uses a wide range of structures ▪ the majority of sentences are error-free ▪ makes only very occasional errors or inappropriacies
19-17	▪ addresses all parts of the task ▪ presents a clear position throughout the response ▪ presents, extends, and supports main ideas, but there may be a tendency to overgeneralize and/or supporting ideas may lack focus	▪ logically organises information and ideas; there is clear progression throughout ▪ uses a range of cohesive devices appropriately although there may be some under-/over-use ▪ presents a clear central topic within each paragraph	▪ uses a sufficient range of vocabulary to allow some flexibility and precision ▪ uses less common lexical items with some awareness of style and collocation ▪ may produce occasional errors in word choice, spelling and/or word formation	▪ uses a variety of complex structures ▪ produces frequent error-free sentences ▪ has good control of grammar and punctuation but may make a few errors
16-14	▪ addresses all parts of the task although some parts may be more fully covered than others ▪ presents a relevant position although the conclusions may become unclear or repetitive ▪ presents relevant main ideas but some may be inadequately developed/unclear	▪ arranges information and ideas coherently and there is a clear overall progression ▪ uses cohesive devices effectively, but cohesion within and/or between sentences may be faulty or mechanical ▪ may not always use referencing clearly or appropriately ▪ uses paragraphing, but not always logically	▪ uses an adequate range of vocabulary for the task ▪ attempts to use less common vocabulary but with some inaccuracy ▪ makes some errors in spelling and/or word formation, but they do not impede communication	▪ uses a mix of simple and complex sentence forms ▪ makes some errors in grammar and punctuation but they rarely reduce communication
13-11	▪ addresses the task only partially; the format may be inappropriate in places	▪ presents information with some organisation but there may be a lack of overall progression	▪ uses a limited range of vocabulary, but this is minimally adequate for the task	▪ uses only a limited range of structures

	▪ expresses a position but the development is not always clear and there may be no conclusions drawn ▪ presents some main ideas but these are limited and not sufficiently developed; there may be irrelevant detail	▪ makes inadequate, inaccurate, or over-use of cohesive devices ▪ may be repetitive because of lack of referencing and substitution ▪ may not write in paragraphs or paragraphing may be inadequate	▪ may make noticeable errors in spelling and/or word formation that may cause some difficulty for the reader	▪ attempts complex sentences but these tend to be less accurate than simple sentences ▪ may make frequent grammatical errors and punctuation may be faulty; errors can cause some difficulty for the reader
10-8	▪ responds to the task only in a minimal way or the answer is tangential; the format may be inappropriate ▪ presents a position but this is unclear ▪ presents some main ideas but these are difficult to identify and may be repetitive, irrelevant, or not well-supported	▪ presents information and ideas but these are not arranged coherently and there is no clear progression in the response ▪ uses some basic cohesive devices but these may be inaccurate or repetitive ▪ may not write in paragraphs or their use may be confusing	▪ uses only basic vocabulary which may be used repetitively or which may be inappropriate for the task ▪ has limited control of word formation and/or spelling; errors may cause strain for the reader	▪ uses only a very limited range of structures with only rare use of subordinate clauses ▪ some structures are accurate but errors predominate, and punctuation is often faulty
7-5	▪ does not adequately address any part of the task ▪ does not express a clear position ▪ presents few ideas, which are largely undeveloped or irrelevant	▪ does not organize ideas logically ▪ may use a very limited range of cohesive devices, and those used may not indicate a logical relationship between ideas	▪ uses only a very limited range of words and expressions with very limited control of word formation and/or spelling ▪ errors may severely distort the message	▪ attempts sentence forms but errors in grammar and punctuation predominate and distort the meaning
4-2	▪ barely responds to the task ▪ does not express a position ▪ may attempt to present one or two ideas but there is no development	▪ has very little control over organizational features	▪ uses an extremely limited range of vocabulary; essentially no control of word formation and/or spelling	▪ cannot use sentence forms except in memorized phrases
1	▪ the answer is completely unrelated to the task	▪ fails to communicate any message	▪ can only use a few isolated words	▪ cannot use sentence forms at all
0	▪ does not attend ▪ does not attempt the task in any way ▪ writes a totally memorized response			